საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება

მისამართი: ჯ.კახიძის ქ. № 15, თბილისი, 0102, საქართველო
ტელ.: (995 32) 2961534 /291092 /2943008
ფაქსი: (995 32) 2953304; ელ-ფოსტა: **redcross@redcross.ge**
ვებ-გვერდი: **www.redcross.ge**

GEORGIA RED CROSS SOCIETY

Address: 15, J. Kakhidze str,. Tbilisi, 0102, Georgia
Tel.: (99532) 2961534 / 2961092 / 2943008
Fax: (995 32) 2953304; e-mail: **redcross@redcross.ge**
Web-site: **www.redcross.ge**

№ 115

თბილისი TBILISI 09.03 2020

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრს ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

ქალბატონო ეკატერინე,

მოგესალმებით და გამოვხატავ ღრმა პატივისცემას პირადად თქვენ და თქვენდამი დაქვემდებარებული უწყების მიმართ.

ინფორმაციისთვის, მოგახსენებთ, რომ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებამ, როგორც ჰუმანიტარულ სფეროში ხელისუფლების დამხმარე ორგანიზაციამ (საქართველოს კანონი ,,საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების შესახებ"), კორონავირუსის (COVID-19) გამოვლენისთანავე მიმართა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კორონავირუსის გავრცელების პრევენციის, უსაფრთხოების ზომებისა და თერმოსკრინიგის პროცესში დახმარების გაწევაზე. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებამ გამოხატა მზაობა სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის (საქართველოს მთავრობის #508 დადგენილება) შესაბამისად, რაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად მოიაზრებს საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების, როგორც თქვენდამი დაქვემდებარებული უწყების დამხმარე ორგანნიზაციის როლს საგანგებო სიტუაციების დროს პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფაში, დაზარალებულთა სამედიცინო დახმარებასა და საველე ჰოსპიტალის მოწყობაში - ქვეყანაში შექმნილ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის განსაკუთრებულ მდგომარეობაზე რეაგირებასთან დაკავშირებით. ამავდროულად, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან ერთად კოორდინაციას უწევს იმ არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობებს, რომლებიც ჩართული არიან საგანგებო სიტუაციების დროს კატასტროფების შედეგების აღმოფხვრაში.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების COVID-19-ზე რეაგირების ღონისძიებები მოიცავს:

- ეპიდემიის პრევენციისა და მეთვალყურეობის თემზე-დაფუძნებულ საქმიანობებს, კერძოდ
  - ✓ კორონავირუსის (COVID-19) პრევენციისა და დამცავი ზომების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების 39 ფილიალში, მათ შორის, საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებში (აზერბაიჯანულ და სომხურ თემებში); ამ მიზნით, დაიბეჭდა და წითელი ჯვრის მოხალისეების მიერ გავრცელდა საინფორმაციო მასალა თბილისსა და ყველა დიდ ქალაქში. ამასთან, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების საინფორმაციო კამპანიებში ჩართვის სურვილი გამოთქვეს და წითელი ჯვრის საინფორმაციო მასალების გავრცელებაში ჩაერთვნენ კომპანია „ავერსი" (260 აფთიაქი) და საქართველოს ფოსტა (81 ფილიალი და სერვის-ცენტრი). საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება ახდენს მოხალისეების მობილიზებას, რომელთა გადამზადება ხდება დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან/NCDC აქტიური თანამშრომლობით;
  - ✓ COVID-19-ის შესახებ ინფორმაციისა და სიახლეების რეგულარულ განახლებას სოციალურ მედიაში - ყოველივე ეს შესაბამისობაშია ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებების საერთაშორისო ფედერაციისა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციებთან;

- მთავრობის დახმარებას ქვეყნის მასშტაბით 14 სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე თერმოსკრინინგში, წითელი ჯვრის კარგად აღჭურვილი და გაწვრთნილი მოხალისეების მიერ; მაგალითისთვის, თბილისისა და ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტებში, ასევე სახმელეთო გამშვებ პუნქტებში;
- ფსიქოსოციალური დახმარების სერვისებს გადამზადებული მოხალისეების მონაწილეობით საჭიროების მქონე პირთათვის, მათ შორის თვითიზოლაციაში მყოფი ადამიანებისთვის, პანიკისა და სტრესის დასაძლევად, ასევე სტიგმის შესამცირებლად, ეროვნული საზოგადოების მიერ გააქტიურებული ცხელი ხაზის სერვისით (0 800 000 018);
- მასმედიის წარმომადგენლებისთვის რეგულარულ საინფორმაციო სესიებს COVID-19-ის რისკის კომუნიკაციის საკითხებსა და უსაფრთხოების წესების შესახებ, რომლებიც ფართოდ არის განხილული ჟურნალისტებთან, ვინაიდან ინფორმაციის ნაკლებობის გამო ჟურნალისტები ზოგჯერ არასწორ ინფორმაციას ავრცელებენ, ისევე როგორც თავად შეიძლება აღმოჩნდნენ რისკ ჯგუფებს შორის.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებამ ჩაატარა ორი საინფორმაციო შეხვედრა ჰუმანიტარულ სფეროში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორიცაა გაეროს სააგენტოები (UNHCR, UNICEF), ასევე Care International, Save the Children; Action Against Hunger, რათა COVID-19-ზე რეაგირების ღონისძიებები იყოს კოორდინირებული და არ მოხდეს მათი დუბლირება. მსგავს საინფორმაციო შეხვედრებს საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება ატარებს კვირაში ერთხელ, რომელსაც ესწრებიან ჯანდაცვის სამინისტროსა და ჯანმრთელობის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები და მონაწილეებს აცნობენ მიმდინარე მდგომარეობასა და ერთობლივი რეაგირების ღონისძიებებს. მოგმართავთ თხოვნით, გამოგვიგზავნოთ ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე არსებული საჭიროებები, რაც დაეხმარება საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას, საერთაშორისო წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის მოძრაობის წევრებთან ერთად, მივიღოთ დახმარება ჩვენი საერთაშორისო პარტნიორებისგან მსოფლიოს მასშტაბით.

ამასთან, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება, როგორც წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა საერთაშორისო ფედერაციისა და მისი მმართველი საბჭოს არჩეული წევრი, წარმოდგენილია ჩემი, როგორც საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების პრეზიდენტის სახით, რაც საჭიროების შემთხვევაში ქვეყნისთვის დროული და საჭირო დახმარების მიღების საფუძველს გვაძლევს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას დღეისათვის ქვეყნის მასშტაბით აქვს 39 ფილიალი, რომლის ბაზაზე მოქმედებენ კარგად გაწვრთნილი და აღჭურვილი პირველი და ფსიქოსოციალური დახმარების, კატასტროფების მართვისა და ოჯახური კავშირების აღდგენის კვალიფიციური გუნდები; ჰყავს 15,000 რეგისტრირებული, მათ შორის 4,000-მდე აქტიური მოხალისე და 155 თანამშრომელი; ფუნქციონირებს დღის საქმიანობათა 27 ცენტრი ხანდაზმულებისა და ახალგაზრდებისთვის, ოთხი მობილური სამედიცინო კაბინეტი.

მოგმართავთ თხოვნით, რომ საქართველოში არსებული ჰუმანიტარული გამოწვევების განსახილველად და ჩვენს ინსტიტუციებს შორის თანამშრომლობის გასაღრმავებლად მოვაწყოთ პირადად თქვენთან შეხვედრა, რომელსაც ასევე დაესწრება ოლგა ჯუმაევა, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა საერთაშორისო ფედერაციის დელეგაციის ხელმძღვანელი სამხრეთ კავკასიაში.

ნება მომეცით, დაგიდასტუროთ ჩვენი შეხვედრის მზაობა თქვენთვის სასურველ ნებისმიერ დროს.

პატივისცემით,

ნათია ლოლაძე

პრეზიდენტი

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება
GEORGIAN RED CROSS SOCIETY
202051536